

# თერჯოლის გამგებერმა მედიის წარმომადგენლებს შეურაცხყოფა მიაყენა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებერმა თეიმურაზ ჯაფარიძემ მედიის წარმომადგენლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ხერით შეეხო. შემთხვევა რამდენიმე საათის წინ გამგებერის კაბინეტში მოხდა.

გავრცერებური ინფორმაციით, ჟურნალისტები თერჯოლაში “იეჰოვას მოწმეებსა” და მართლმადიდებერ მრევლს შორის მოსალოდნერ სერიოზურ დაპირისპირებაზე გავრცერებური ინფორმაციით დაინტერესდნენ და დეტალების გასარკვევად გამგებერს ეწვივნენ. გამგებერმა თეიმურაზ ჯაფარიძემ კაბინეტში, საინფორმაციო სააგენტო “ნიუპრესის”, “ქუთაისინიუსის”, “GNnews”-ის და “ქუთაისი თუდის” ჟურნალისტებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ხერით შეეხო.

ჟურნალისტები თერჯოლის რაიონურ სამმართველოში არიან გადაყვანილი.

---

# იაპონიის მთავრობამ მეორე მსოფლიო ომში თავისი ქმედებების გამო ბოღიში მოიხადა

“ოფიციალური ტოკიო მეორე მსოფლიო ომში ჩადენილი ქმედებების გამო ღრმა სინანულს განიცდის და ბოღიშს მოიხდის ” , – განაცხადა იაპონიის პრემიერ მინისტრმა სინძო აბემ ჯაკარტაშიმ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმღინარე სამიტზე სიტყვით გამოსვლის ღრს.

“ჩვენ მშვიდობიანი სახელმწიფოს პრინციპებს ვემხრობით. ამიერიდან იარაღის უკონტროლო გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს.” – აღნიშნა პრემიერმა.

იაპონია აზიისა და აფრიკის ქვეყნებისთვის 350 ათასი სპეციალისტის მომზადების პროგრამაში აპირებს ჩართვას, რადგან ამ ქვეყნების უმეტესობა დღეს იაპონიის ეკონომიკური პარტნიორია. “ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა გააძლიერებს და დააჩქარებს ამ ორი რეგიონის განვითარებას”, – მიაჩნია ქვეყნის პრემიერ მინისტრს სინძო აბეს. ბოლო 60 წლის მანძილზე აზიისა და აფრიკის ქვეყნებს ტოკიომ 300 მილიონ დოლარზე მეტი ეკონომიკური დახმარება გაუწია, ასევე 140 ათასამდე სპეციალისტი გააზავნა სხვადასხვა რეგიონში.

---

## უნიკადური აღმოჩენა – უძველესი მედვინეთის კერა საქართველოში

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვემო ქართლში აღმოჩენილია VI ათასწლეულით დათარიღებული, უძველესი ყურძნის ნიჰნები. კომპლექსური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოაშენა და შემდეგ უკვე კურტურული ვაზისგან ღვინო დანურა. კერამიკური ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კურტურული ვაზის მტვერის მარცვრები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია.

ეს ის პერიოდია, როდესაც საზოგადოება გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე. იწყება მიწათმოქმედების აღმავლობა, ჩნდება პირველი

მეურნეობის ნიშნები, იწყებენ ცხოველების მოშინაურებას და ა.შ.

სამუშაოების შედეგად გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, ჭურჭელი, სამეურნეო ორმოები და სხვა. აღმოჩენილი მასაღის დამუშავების და პადეო-ბოტანიკური კვლევის შედეგები კიდევ უფრო ნათერ სურათს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი მეღვინეობა-მევენეხეობის კულტურის შესახებ.

2014 წლიდან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარეობს ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ასოციაცია „ქართული ღვინოს“ ერთობლივი საერთაშორისო პროექტი **„ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“**, რომელიც ხერხ უწყობს მსოფლიოში ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის განვითარებას და პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ვაზის ნაშთების დაბოთრატორიული შესწავლა, არქეოლოგიური მასაღის ბიოქიმიური კვლევა, ასევე ნიადაგურ-კლიმატური და გენეტიკური რესურსების შესწავლა-დახასიათება და სხვა.

ქართველ მეცნიერებთან ერთად პროექტში მონაწილეობენ პენსიღვანიის, მონპერიეს, მიღანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტის, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპერიეს აგრარული კვლევის ინსტიტუტის მკვლევარები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია [საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი](#) დავით დორთქიფანიძე. პროექტის მენეჯერი დევიან დავითაშვიდი, ხოლო კოორდინატორი დავით მაღრაძე.

აღსანიშნავია, რომ პროექტის შესახებ ამერიკელმა მწერარმა და ჟურნალისტმა [პოლ სარლპეკმა](#) „National Geographic“-ში ახღახანს გამოაქვეყნა სტატია [“Ghost of the Vine – In Georgia, science probes the roots of winemaking“](#).

---

# ჟანრი დოდაშვილის პერსონაჟური გამოფენა

22 აპრილს 18:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გადერევაში ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული წარმომადგენლის, მსახიობ ჟანრი დოდაშვილის პერსონაჟური გამოფენა გაიმართება .

ექსპოზიციამდე წარმოდგენილი იქნება ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში შესრულებული 80–მდე ნამუშევარი, რომელთაც ჟანრული დიაპაზონის გარდა შესრულების მკვეთრად გამოხატული, ინდივიდუალური მხატვრული მანერა გამოარჩევს.

ჟანრი დოდაშვილი 1959 წლიდან ხატავს. მას გამოფენები ჰქონდა გერმანიასა და რუსეთში (საქართველოს კურტურის დღეების ფარგლებში). საქართველოში მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში, ჰქონდა ასევე ერთი პერსონალური გამოფენა. მიუხედავად ამისა, ეს იქნება პირველი მასშტაბური ექსპოზიცია, რომელთაც ფართო საზოგადოება ჟანრი დოდაშვილს, როგორც მხატვარს ისე გაიცნობს.

გამოფენა საქართველოს კურტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძარისხმევით მოეწყობა და 30 აპრილამდე გაგრძელდება.

---

## ათონედის რეზიდენციაში ერთ- ერთი სამთავრობო უწყება

# განთავსდება

ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ინფორმაციით, ათონერის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში ერთ-ერთი სამთავრობო უწყება განთავსდება.

ამის შესახებ ეკატერინე სისაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი განმარტებით, აღნიშნული შენობა დაპროექტებულია, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირის რეზიდენცია და შესაბამისად, გათვლილი არქიტექტურით და შიდა სივრცით.

“სწორედ ესაა მიზეზი, რომ დღემდე ამ შენობით არავინ დაინტერესდა. ვინაიდან შენობის კომერციული მიზნებისთვის მორგება საკმაოდ რთული იქნებოდა, სავარაუდოდ შენობის გაყიდვა გაჭირდება და მისი გამოყენება მოხდება რომელიმე სამთავრობო უწყების მიერ”, – განაცხადა სისაურმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელი უწყება განთავსდება ათონერის რეზიდენციაში.

არსებული ინფორმაციით, ათონერზე მდებარე რეზიდენციაში შესაძლოა, საგარეო საქმეთა სამინისტრო გადავიდეს.

---

## ხანგრძლივი ცხოვრების საიდუმლოებები ბერძენი ხანდაზმულებისგან

საბერძნეთის კუნძურ იკარიის მცხოვრებლები თითქოს დროს ატყუებენ – კუნძური ანომარური ხანდაზმულობის ერთერთ წერტილად აღიარეს. საიდუმლო ძარბე მარტივია: თავიდან მოიშორეთ მალვიძარები, უარი თქვით პრინციპებსა და პირობითობაზე, ნუ ბრაზობთ და ნუ ღვრავთ უმნიშვნელო წვრილმანებზე...

---

# მეტეხის გვირაბთან ხიდის შეკეთების სამუშაოების დაწყებას თბილისის მერი დაესწრო

მეტეხის გვირაბთან არსებული ხიდის კაპიტალური შეკეთება დაიწყო. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსთან, ავთანდილ სულაძესთან ერთად დაათვალიერა.

დავით ნარმანიას განცხადებით, ხიდი რაბორატორიულად შემოწმდა და არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, მისი აღდგენა უმოკრეს ვადებში გახდა აუცილებელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხიდს, რომელსაც წლების განმავლობაში რეაბილიტაცია არ ჩატარებია, დაზიანებული აქვს სადეფორმაციო ნაკერები და ბურჯის რიგები. მოშრილია, ასევე, ჰიდროიზოლაცია, მოაჯირები და დამცავი პარაპეტები, რაც უსაფრთხოების ნორმების სრული დარღვევაა.

“2 თვის განმავლობაში ძირითადი სამუშაოები დასრულდება, პირველ რიგში, ხიდი სრულად გამაგრდება, რომ გადაადგილება უსაფრთხო გახდეს. მთლიანად შეიცვლება ხიდის საფარი და მოწესრიგდება ტროტუარები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხიდის ექსპლოატაციის ვადა მნიშვნელოვნად გახანგრძლივდება”, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ავთანდილ სულაძის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დროისთვის გზის მხოლოდ ერთი ნაწილია დაკეტილი. მისი რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ხიდის მეორე ნაწილის კაპიტალური შეკეთება დაიწყება. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა შესაძლებელია იარბუზის ქუჩიდან მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით. შეცვლილი მარშრუტით მოძრაობს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

---

# ერაყსა და სირიაში მოხარისევების წყადობით ისლამისტთა ტყვეობიდან ათობით ქრისტიანი ქარია დახსნილი

ახლახანს სოციალურ ქსელებში გავრცედა ვიდეოფრაგმენტი, სადაც იემიდი გოგონას ოჯახში დაბრუნების კადრებია ასახული. როგორც ცარვეული პიროვნებები, ასევე საქვერმოქმედო ორგანიზაციები ქარების ტყვეობიდან დასახსნედად სოლიდურ თანხებს არ იშურებენ.

მძვერად ჩავარდნილ ქარებს ისლამისტები საგანგებოდ შექმნილ ტყვეთა ბაზრობაზე ხარჭებად ყიდიან. ექსპერტების მონაცემებით, დღესდღეობით “ისლამის ხარიფატის” მესვეურების ხერში 4 000-მდე ტყვე ქარია. მოხარისეები ასევე ნინევიიაში მცხოვრებ ქარბატონებს ქურთების დაცვის ქვეშ მყოფ ქარაქ კირკუკში ევაკუაციაში ეხმარებიან.

უსაფრთხოების თვარსაზრისით მოხარისეთა სახედები არ მჟდავნდება, ქვერმოქმედებას ისინი ფარურად ეწევიან, ხოლო მათ მიერ განთავისუფდებური გოგონების და ქარების რიცხვი უცნობია.

---

# გამბიაში ჰომოსექსუარები სამუდამო პატიმრობით

# დაისჯებიან

აფრიკის დასავლეთში არსებული ყველაზე პატარა სახელმწიფოს გამბიის პრეზიდენტმა იაჰია ჯამემ ჰომოსექსუალიზმისთვის სამუდამო პატიმრობის განმსაზღვრედ კანონს მოაწერა ხელი.

დარჩენილი ცხოვრების დღეები ციხეში შესაძლოა გაატარონ, გეებმა, რესბოსელებმა, პირებმა, რომლებმაც არაერთხელ მოიხადეს სასჯელი არატრადიციული კავშირისთვის და ასევე შიღვით დაავადებულებმა.

კანონპროექტის ამოქმედებისთანავე უკვე რამოდენიმე ადამიანი დააკავეს სოლომური კავშირის ბრადღებით. 2008 წელს სახელმწიფოს მეთაურმა ყველა ჰომოსექსუალისტსა და რესბოსელს ქვეყნის დატოვება ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის მოკვებით დაემუქრა.

ახარი კანონის მიღებამდე გამბიაში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებისთვის 14 წდამდე თავისუფლების აღკვეთა იყო გათვარისწინებული.

---

## 2016 წელს დაზვერვის სამსახურს ახარი ადმინისტრაციული შენობა ექნება

2016 წელს დაზვერვის სამსახურს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახარი ადმინისტრაციული შენობა ექნება – მშენებლობის პროცესის დაწყებას საფუძველი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარბაშვილმა დაზვერვის სამსახურის უფროს დავით სუჯაშვილთან და რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით შავდიაშვილთან ერთად ჩაუყარა.

“დაზვერვის სამსახურის გამართული და ეფექტიანი მუშაობა გადამწყვეტია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. მოგეხსენებათ,



რომ ჩვენი სახელმწიფო დიდი გამოწვევების წინაშე დგას, გლობალური პროცესები და რეგიონში არსებული ვითარება, რა თქმა უნდა, ბრდის საგარეო საფრთხეებს, და ასეთ სიტუაციაში თქვენ უდიდესი როლი გავისრიათ. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი მთავრობისგან ყოველთვის გექნებათ სათანადო მხარდაჭერა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თქვენი პროფესიონალიზმი სრულად იყოს გამოყენებული ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების სასიკეთოდ, “- განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს დაზვერვის სამსახურის ისეთ სტრუქტურად გარდაქმნას, რომელიც მორგებული იქნება თანამედროვე გამოწვევებზე.

---